ხაშურის მოამბე

№26 30 ნოემბერი, ორშაბათი, 2015 წელი

2016 წლის ივლისიდან პენსიები 180 ლარამდე გაიზრდება

2016 წლის 1 ივლისიდან პენსიები 180 ლარი გახდება, - ამის შესახებ მთავრობის სხდომაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა. მისივე თქმით, მთავრობამ თავიდანვე განაცხადა, რომ ბიუჯეტი იქნებოდა სოციალურად ორიენტირებული და მომავალი წლის ბიუჯეტიც ასეთი იქნება.

როგორც ღარიბაშვილმა აღნიშნა, ეს სახსრები განკუთვნილი იქნება პენსიებისა და პედაგოგების საბაზო ხელფასებისთვის, ასევე მაღალმთიანი რეგიონების განვითარებაზე და სხვა. როგორც პრემიერმა აღნიშნა, "გუნდმა გადაწყვეტა, რომ 2016 წლის 1 ივლისიდან პენსიები გახდეს 180 ლარი". "2012 წლიდან ჩვენ პენსიები გავზარდეთ დაახლოებით 64%-ით. ეს არის 600 მილიონ ლარამდე, თუ შევადარებთ 2012 წლის ბიუჯეტს ამ მიმართულებით", - განაცხადა ღარიბაშვილმა.

როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, ძალიან მნიშვნელოვანია, დაინერგოს პენსიის დაგროვებითი სისტემა და ეტაპობრივად გადავიდეთ

საბავშვო ბაღებს ერთიანი მმართველობა ექნება

საქართველოს თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში შეიქმნა ა(ა).ი.პ.ი სკოლამდელი აღზრდის საბავშვო ბაღების გაერთიანება, რომელსაც ხაშურის მუნიციპალიტეტიც შეუერთდა. ეს სამსახური დეკემბრის თვიდან დაიწყებს მუშაობას. ამ სექტორში დასაქმებულ ადამიანებს სამუშაო ადგილების დაკარგვის შიში ჰქონდათ,რადგან ახალი სამსახურის შექმნა,გარკვეულწილად, ძველის რეკვესტრირებას ნიშნავს. შექმნის აუცილებლობაზე, ფუნქციებზე, მუშაობის ფორმებზე ხაშურის სკოლამდელი აღზრდის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორი **დავით ნოზაძე** გვესაუბრა;

–ა(ა)იპ-ი ხაშურის სკოლამდელი აღზრდის საბავშვო ბაღების გაერთიანება წარმოადგენს სამსახურს, რომელიც ვალდებულებას იღებს ,განახორციელოს ყველა ის საქმიანობა, რომელიც აქამდე საბავშვო ბაღებს ეკისრებოდა, იქნებოდა ეს შესყიდვები, საქმის წარმოება, კადრების დანიშვნა, ბუღალტერია თუ სხვა ტიპის საქმიანობები. თუ მანამდე თითოეულ ბაღს ჰქონდა ვალდებულება ყველა საქმე თვითონ ეწარმოებინა, გაერთიანების შემდეგ, საბავშვო ბაღებს შესაძლებლობა ექნებათ მთელი ყურადღება ბავშვების აღზრდას დაუთმონ. დღეისათვის ხაშურის მუნიციპალიტეტში 1000-მდე ბავშვია,რომელებიც სარგებლობენ საბავშვო ბაღებით,მათი უზრუნველყოფა ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება. ბავშვზე ყოველდღიურად დაახლოებით 1,70 თეთრია გამოყოფილი,რაც წლიურად დაახლოებით 1 500 000 ლარს შეადგენს. ამაში შედის ბაღების ინვენტარიზაცია და სხვა ტიპის მოხმარების საგნები. არის მშენებარე ბაღები,რომლის შენება-რეაბილიტაცია უახლოეს ხანებში დასრულდება. სწორედ,ამგვარი საჭიროების შედეგად შეიქმნა ჩვენი სამსახური,რომელსაც ანალოგები უკვე აქვს საქართველოს თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში და როგორც ჩემთვისაა ცნობილი, წარმატებით საქმიანობენ. რაც შეეხება საკადრო შემცირებებს,ამ ეტაპზე,ყველა თანამშრომელი შეინარჩუნებს თავის სამსახურს,მხოლოდ ბუღალტრები გააგრძელებენ მუშაობას სახეშეშეცვლილი ფორმით. ჩვენი სამსახური ამ ეტაპზე 10 თანამშრომლისგან შედგება, დირექტორის, მთავარი ბუღალტრის, 4 ბუღალტრის და ორი სპეციალისტისგან,დეკემბრის თვიდან ოფიციალურ საქმიანობას შევუდგებით,–განაცხადა ჩვენთან საუბარში ბატონმა დავითმა.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სესია

26 ნოემბერს, ადმინისტრაციული სახლის სხდომათა დარბაზში, გაიმართა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სესია. სესიაზე, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე ვაჟა შუბითიძე,საკრებულოს წევრებმა განიხილეს საკითხი „ხაშურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 11 დეკემბრის №74 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე. ცვლილებები გამოწვეული იყო 11, 12 და 14 ნოემბერს ჩვენს მუნიციპალიტეტში მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის ცენტრალური ხელისუფლების მიერ გამოყოფილი თანხების ადგილობრივ ბიუჯეტში ასახვის გამო. სესიაზე დეპუტატებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი ცვლილებას.

ამით მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სესია დასრულდა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №124

2015 წლის 26 ნოემბერი, ხაშური

„სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 ნოემბრის №2529 განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2015 წლის 12, 13, 14 ნოემბერს მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დამტკიცების თაობაზე

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2015 წლის 12-14 ნოემბერს მომხდარმა სტიქიურმა მოვლენებმა, ძლიერმა ქარმა და ხანგრძლივმა წვიმებმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ინფრასტრუქტურას და საცხოვრებელ სახლებს. სტიქიისაგან მიყენებული ზიანის აღმოსაფხვრელად, საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე, ხდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების სახურავების მოწყობის და ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის და „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 ნოემბრის №2529 განკარგულების საფუძველზე ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 ნოემბრის №2529 განკარგულების შესაბამისად 2015 წლის 12, 13, 14 ნოემბერს ხაშურის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების გასატარებლად გამოყოფილი სახსრებით განსახორციელებელი პროექტების ნუსხა განისაზღვროს დანართი №1 შესაბამისად (დანართი №1 თან ერთვის.);
2. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
3. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ხაშური, კოსტავას ქ. №15).

ხაშურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ვაჟა შუბითიძე

დანათი #1

#	ობიექტის დასახელება	ღირებულება
1	ქ.ხაშურში გურამიშვილის ქუჩაზე N4 ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის მოწყობა	96278
2	ქ.ხაშურში გურამიშვილის ქუჩაზე N4 საბავშო ბაღის სახურავის მოწყობა	101170
3	ქ.ხაშურში ლესელიძის ქ. N10 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის მოწყობა	137245
4	ქ.ხაშურში მინისტარის დასახლებაში N5 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის მოწყობა	109208
5	ქ.ხაშურში გაგარინის ქუჩაზე N74 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის მოწყობა	118955
6	ქ.ხაშურში ცხვირაშვილის ქუჩაზე N11 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის მოწყობა	46525
7	მდინარე სურამულას ნაპირსამაგრი სამუშაოები	77020
8	სტიქიით დაზარალებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების სახურავების შეკეთებისათვის მასალებისა და ტექნიკური მომსახურების შესყიდვა	35624
9	სოფელ ახალშენში ეთერ ხარებაშვილის დაზიანებული საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია	20000
	ჯამი: ლარი	742025

საერთაშორისო გამოფენა, რომელმაც ჩვენს ფერმერებს ბევრი რამ მისცა

18 ნოემბერს, საგამოფენო ცენტრ „ექსპო ჯორჯიაში" მოეწყო სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობის,გადამამუშავებელი და შემფუთველი ტექნოლოგიების მე-15-ე საერთაშორისო გამოფენა, რომელიც არსებობის განმავლობაში ყველაზე მასშტაბური იყო. ის მოიცავდა სამ პავილიონს და გარე სივრცეს. გამოფენა მნიშვნელოვანი იყო იმდენად, რამდენადაც სოფლის მეურნეობა და მასთან დაკავშირებული სექტორები დღეს საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე აქტუალურია, როგორც ეკონომიკური, ასევე საზოგადოებრივი თვალსაზრისით და, ცხადია, ქვეყანას, რომელსაც აქვს დიდი პოტენციალი წარმატებას მიაღწიოს ამ დარგში, სჭირდება ინფორმაცია ახალი ტექნოლოგიების,

მრეწველობაში გამოსაყენებელი პროდუქტებისა და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ. სოფლის საგამოფენო სტენდებზე წარმოდგენილი კომპანიების რაოდენობა 140 იყო. ქართული კომპანიებთან ერთად გამოფენაზე წარმოდგენილი იყო შემდეგი ქვეყნები: ბელგია, გერმანია, ესპანეთი, თურქეთი, ისრაელი, იტალია, ლატვია, ლიტვა, პოლონეთი, რუსეთი, საფრანგეთი, სომხეთი, უკრაინა, ჩინეთი, ჰოლანდია და ქართული ბაზრისთვის აქამდე უცნობი კომპანიები, რომლებიც ეძებენ დისტრიბუტორებსა და წარმომადგენლობებს. გამოფენის ფარგლებში სტუმრებს საშუალება ჰქონდათ დაეთვალიერებინათ სოფლის მეურნეობისათვის საჭირო მანქანა-დანადგარები, საირიგაციო სისტემები, მანქანა დანადგარები წისქვილებისათვის და თევზსაჭერი მეურნეობებისათვის, სეტყვისაგან დამცავი და სასათბურე ტექნოლოგიები, რძის პროდუქტების გადამუშავებისათვის, ხორცის პროდუქტების წარმოებისა და საკონსერვო მრეწველობისათვის საჭირო ტექნიკა. კვებითი პროდუქტების ნაირსახეობაც იყო წარმოდგენილი გამოფენაზე. არაქართული პროდუქტიდან აღსანიშნავი იყო უკრაინის კოლექტიური ექსპოს საწარმოების მონაწილეობა, რომლებმაც სხვადახვა პროდუქცია წარმოადგინეს გამოფენაზე, ესენი იყვნენ: ორგანული ყავის ეროვნული ბრენდის, შაქრის ორცხობილების, უგემრიელესი ძეხვების, საცხობი პროდუქტების მწარმოებელი კომპანიები. ქართული კომპანიებიდან მნიშვნელოვანი იყო „სანტე" და „კულას" ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მონაწილეობა. მრავლად იყო საქართველოში წარმოებული ჯემების, მურაბების და ნატურალური წვენების სახეობები, ყველის ფართო ასორტიმენტი. ვაშლის უნიკალური ჯიშები: აიდარედი, ბრაბერნი, ტოპაზი და სხვა. თაფლის მწარმოებელი კომპანიები: „გილე", „მუხრანის ფუტკარი", „ნანატრი", „ზეკარი", „აგროაპი", „რკ. ართო". ქართული ჩაიდან: „ჩაის სურნელი" და „ბახვის ჩაი". „ყავის სახლმა", რომელიც ყავის აღჭურვილობების სპეციალიზირებული მაღაზიათა ქსელია, მომხმარებელს შესთავაზა შვეიცარიული კომპანიის „ბლასერცაფე" ყავის ფართო ასორტიმენტი. გამოფენაზე ასევე მრავლად იყო წარმოდგენილი ნარჩევი ვაზის ჯიშების ღვინოები.

მნიშვნელოვანი იყო გამოფენაზე სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაშურის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსის ჯემალ გელაშვილის მოწვეული სტუმრის რანგში ყოფნა, სამსახურის ორგანიზებით, ფერმერებს და კოოპერატივებს შესაძლებლობა მიეცათ ენახათ სოფლის მეურნეობისათვის საჭირო მანქანა-დანადგარები და გაცნობოდნენ სხვადასხვა ინოვაციური ტექნოლოგიების საკუთარ მეურნეობაში დანერგვის გზებსაც.

ჯემალ გელაშვილი: ხაშური უკვე მესამე წელია მონაწილეობს გამოფენაში. წელსაც, შევარჩიეთ ისეთი ლიდერი ფერმერები, რომელებიც ამ გამოცდილებას და ნანახს გამოიყენებენ, საკუთარ მეურნეობაში და ასევე თანასოფლელებსაც გაუზიერებენ. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, გასარწყავების სისტემები აუცილებლობას წარმოადგენს ჩვენი დღევანდელი ფერმერების საქმიანობისათვის. კარგი იქნება, ფერმერების ხელით შრომა გამოირიცხოს და ეს ტექნიკა შესყიდულ იქნას, განსაკუთრებით მსხვლი ფერმერებისათვის. სხავათაშორის, დაინტერესება იყო ჩირის გადამამუშავებელი დანადგარის შეძენისა. ჩვენმა ფერმერებმა დაიწყეს ისეთი მრავალწლიანი ხილის გაშენება, როგორცაა კურკოვანი და თესლოვანი კულტურები, რაც საჭიროა ჩირის დამზადებისათის, ეს პოტენციალიც აქვს ჩვენს რაიონს, რომ შემდგომში წარმოებული პროდუქცია ადგილობრივ ბაზარზეც გავიტანოთ და საექსპორტოდაც. მომავალ წელს გვინდა გამოფენაზე ჩვენი ფერმერების მიერ წარმოებული პროდუქციაც გავიტანოთ

სადემონსტრაციოდ და რეალიზაციაც მოვახდინოთ. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გომში გყვავს წარმატებული ფერმერი, ვასილ დვალი, რომელსაც 70-80 ჰექტარი მიწის ფართობი აქვს და რომელმაც ააშენა ბოსტნეულის საცავი და ფლობს მაცივარს, რითაც შესაძლებლობა ეძლევათ ადგილობრივ ფერმერებსა და კოოპერატივებს მოყვანილი პროდუქტი დროებით შეინახონ და შემდგომში უფრო მომგებიან ფასად გაყიდონ.

მსგავსი ღონისძიებებში მონაწილეობა მნიშვნელოვანია ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის,რადგან მოხდება მეტი ინფორმაციის მიღება და გაცვლა სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლებსა და ადგილობრივ მწარმოებლებთან, რაც ისევ და ისევ

სასიკეთოდ იმოქმედებს ჩვენი ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის განვითარებაზე.

თ. ახალაია

ერთი დღე ალის ციხეზე

მუზეუმში ჯონი ქიტიაშვილმა ამბავი მოიტანა: ალის ციხეზე მიწა ჩაშვავებულა და ეკლესიის ნაგებობა გამოჩენილა, კედლებზე კი მხატვრობის კვალი აჩნიაო.

შევთანხმდით, მეორე დღეს, 24 აგვისტოს დილიდანვე დავდგომოდით ალის გზას. 9 საათისთვის გივი გელაშვილი მოვიდა ჩემთან, მუზეუმში, ავედით, მაყვალა ხაჩიძე მოვძებნეთ, ჯონი 64-ე პროფთექნიკუმში გველოდებოდა... და ექსპედიციაც შედგა. ნაბახტევში შევიარეთ, ივანე ნათლისმცემლის ეკლესია ვნახეთ. შემდეგ ღვთისმშობელზე ავედით. ეკლესია ვრცელ ტერიტორიას მოიცავს, რომელსაც, როგორც ჩანს, თავის დროზე გარშემო გალავანი უვლიდა. გალავნის ნაშთები კარგად ჩანს ჩრდილოეთის მხარეს, აქვე ეზოში შეიმჩნევა რაღაც ნაგებობების კვალი. გალავნის ნაშთები უფრო კარგად ჩანს სამხრეთის მხარეს, სადაც მაღალი კედლებია შემორჩენილი, აქვე ეზოს მხრიდან კი ასევე ნაგებობათა კვალი მოჩანს. ვფიქრობთ, ეს უნდა იყოს ვახუშტი ბატონიშვილისეული ნაბახტევის ნაციხვარი.

ღვთისმშობლის ეკლესიის შემოგარენი გაწმენდილი დაგვხვდა. ამ რამდენიმე წლის წინ სტუდენტებმა იმუშავეს მის გაწმენდაზე. გამოჩენილია სოკოლი, რომელზეც დგას ეკლესია. სამხრეთის ფასადზე მიშენებული კედლის ნანგრევებია, რომელიც სამხრეთისკენ გრძელდება. ასეთივე კედელი ჩანს სამრეკლოსთან, დასავლეთ მხარეს, ეკლესიის კედელთან.

ფრესკები, რომლებიც საკურთხეველშია შემორჩენილი, მძიმე მდგომარეობაშია, ჩამონაცვენი იქვე ყრია, საკურთხევლის იატაკზე. ფრესკები უფრო დაზიანებული მეჩვენა, ვიდრე ადრე მინახავს.

იქვე ეკლესიაში ვნახეთ ქვაში გამოსახული ვერძის თავის ფრაგმენტი. მისი ძირი ადრე მქონდა ნანახი ეკლესიის ეზოში. მუზეუმში წამოღებას ვაპირებდი, მაგრამ შემდეგ დაიკარგა...

ალში კაკო ყულიჯანაშვილი ვნახეთ, შემდეგ ამირან დავითაშვილს ვესტუმრეთ, რომელიც ოჯახით არის მცხეთიჯვარში. ქეთევან დავითაშვილიც -ამირანის ქალიშვილიც აქ არის. მათ უკვე დაუთვალიერებიათ ალის ციხეზე „გამოჩენილი" ეკლესია. კომპიუტერშიც გვაჩვენეს. წლებია, მცხეთიჯვარში ალის ციხესთან ეწევიან არქეოლოგიურ გათხრებს და ამ ახლადგამოჩენილმა ეკლესიამაც, ბუნებრივია, დაინტერესა.

ეკლესია ციხის ეზოში, მის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. იგი ღედაციხის (ციტადელის) სამხრეთის კედელზეა მიშენებული. ციტადელის კედელი ეკლესიის აღმოსავლეთის ფასადიდან, ჩრდილოეთის მხარეს გრძელდება. ეკლესია მიწით ყოფილა დაფარული. ამ ცოტა ხნის უკან გადახურვა ჩანგრეულა, მიწა ჩაშვავებულა და გამოჩენილა ნაგებობა, რომელიც ეკლესიად აღიქვეს მნახველებმა, რაც

სავსებით მისაღებია. ყველა ციხეს თავისი კარის ეკლესია ჰქონდა და ამ მხრივ არც ალის ციხე უნდა ყოფილიყო გამონაკლისი. იგი ნაგებია კლდის ქვით, რითაც ციხეა საეროდ ნაგები. სწორკუთხა დარბაზული ტიპისაა. აღმოსავლეთის მხარე მიწიითაა დაფარული და ამიტომ საკურთხეველი არ ჩანს. კედლები სქელია, მყარად ნაგები.

გადახურვა ნახევარწრიულია.

კედლები შელესილია, მხატვრობის კვალი საერთოდ არ ჩანს.

შესასვლელი სამხრეთის მხრიდან უნდა იყოს.

ეკლესიის ზომებია 6,5X 5, სიმაღლე 3,5მ. დარბაზში ჩამონაშალი მიწაა ჩაყრილი.

ეს ახლადგამოჩენილი ნაგებობა მიგვანიშნებს რომ, საკმაოდ დიდი სამუშაოებია ჩასატარებელი ციხის ეზოს გასაწმენდად. საერთოდ, ალის ციხე მთლიანად შესასწავლია, რაც მომავლის საქმეა.

ეკლესია გვიანფეოდალური ხანით უნდა დათარიღდეს.

თამაზ ღაცაბიძე.

ჰეი, ვინ მოდის მანდ მომავლიდან...

ხაშურში პირველი ახალგაზრდული ფორუმი გაიმართა

ქვეყანაში დემოკრატიული ფასეულობების განვითარებაში დიდი როლი ახალგაზრდებს ეკისრებათ. შესაბამისად, ახალგაზრდები ჩვენი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილია და მათი სამოქალაქოდ აქტიურ ცხოვრებაში ჩაბმა, საკუთარი პოტენციალის რეალიზება დიდ სამსახურს უწევს ქვეყნის განვითარებას და ხელს უწყობს მის წინსვლასა და წარმატებას მსოფლიო არენაზე. ახალგაზრდების შესაბამისი რესურსების განვითარება ჯერ კიდევ სკოლის ასაკიდან უნდა დაიწყოს, შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტს აქვს იმის შესაძლებლობა, რომ მოსწავლეობიდან დაიწყონ ახალგაზრდების ჩართვა სამოქალაქო აქტივობებში და ხელი შეუწყონ მათი პიროვნების ფსიქოლოგიურ ჩამოყალიბებას.

სწორედ ზემოთ აღნიშნული მიზნებით და უკვე არსებული ახალგაზრდული ორგანიზაციების საქმიანობის წარმოჩენისთვის ჩატარდა ხაშურის პირველი ახალგაზრდული ფორუმი, რომელიც 2015 წლის 22 ნოემბერს, გ. სააკაძის ქ. 94-ში გაიმართა. ფორუმი არასამთავრობო ორგანიზაცია „მეგობრობის ხიდი - ქართლოსის“, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს პროექტ „საქართველოს მოხალისე“-ს და არასამთავრობო ორგანიზაცია „ხაშურის ახალგაზრდული თვითმმართველობის“ ორგანიზებით გაიმართა. ხაშურის ახალგაზრდულ ფორუმზე წარმოდგენილნი იყვნენ ხაშურის ახალგაზრდული თვითმმართველობის წარმომადგენლები: თინათინ მახათაძე და რობერტ ქოჩიშვილი, რომლებმაც ორგანიზაციის საქმიანობასა და მიზნებზე ისაუბრეს. დამსწრე საზოგადოებას გააცნეს ხაშურის მუნიციპალიტეტში მათ მიერ განხორციელებული პროექტები. თორნიკე ბოლოკაძემ წარადგინა სამოქალაქო ჩართულობის განვითარების ცენტრი „თანამონაწილე“ და სტუდენტური ინტერნეტ-პორტალი „Be Active”. მან ხაშურელ ახალგაზრდებს ამცნო იმ საერთაშორისო პროექტების შესახებ, რომელსაც მისი ორგანიზაცია ხაშურელ ახალგაზრდებს სთავაზობს, და დაინტერესების შემთხვევაში, მათთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა. წმიდა დიმიტრი ყიფიანის სკოლა-პანსიონის წარმომადგენლებმა: მარიამ რობაქიძემ და მარიამ ლეშკაშელმა წარადგინეს უკვე განხორციელებული პროექტის „ფოტოგრაფია ძალადობის წინააღმდეგ“ შედეგები და ისაუბრეს ხაშურის ახალგაზრდული საკრებულოს შესახებ. გ. ტაბიძის სახელობის მე-6 საჯარო სკოლის წარმომადგენელმა თამარ ზექალაშვილმა ისაუბრა ორგანიზაცია „გლოუ“-ს შესახებ და დამსწრეთ გააცნო ორგანიზაციის საქმიანობა ხაშურის მუნიციპალიტეტში. ამავდროულად, თამარ ზექალაშვილი ორგანიზაციის რეგიონალური ელჩია და შესაბამისად, მოსწავლეებს აცნობა, რომ ორგანიზაციასთან თანამშრომლობის სურვილის შემთხვევაში, მზადაა გაწიოს შუამდგომლობა. ახალგაზრდული ფორუმის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა გიორგი ჩუბინიძემ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს პროექტ „საქართველოს მოხალისე“-ს შესახებ ისაუბრა (იგი გიორგი ბლიაძესთან ერთად ხაშურელი მოხალისეების კოორდინატორია) და წლის აქტივობები შეაჯამა. მან სტუმრებს გააცნო მოხალისეობის არსი და საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელების აუცილებლობაზეც ისაუბრა. გიორგი ჩუბინიძემ ხაშურის მუნიციპალიტეტში, მოხალისეობაში შეტანილი წვლილისთვის შესაბამისი სიგელებით დააჯილდოვა ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი ზვიად გოგუაძე, ხაშურის პირველი საჯარო სკოლის დირექტორი მორის დანდურიშვილი, ხაშურის გ. ტაბიძის სახელობის მე-6 საჯარო სკოლის დირექტორი თამარ ხადური, სამოქალაქო ჩართულობის განვითარების ცენტრ „თანამონაწილეს“ ხელმძღვანელები დიანა გელაშვილი და თორნიკე ბოლოკაძე, ხაშურის ამერიკის კუთხის ხელმძღვანელი ქეთევან მეტრეველი, წმიდა დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის თანამშრომლები, რომლებმაც მუზეუმში ხელი შეუწყეს ახალგაზრდული მოხალისეობრივი ღონისძიებების განხორციელებას, შესაბამისი სიგელი გადაეცა პროექტ „საქართველოს მოხალისეში“ მონაწილე ყველა ახალგაზრდას.

ხაშურის პირველ ახალგაზრდულ ფორუმს ესწრებოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: მამუკა წიქარიშვილი და ლაშა მესხი. მამუკა წიქარიშვილმა მადლობა გადაუხადა პროექტის ორგანიზატორებს, ახალგაზრდების სამოქალაქო ჩართულობაში შეტანილი წვლილისთვის და ყველა ახალგაზრდის თანადგომის მზადყოფნა გამოთქვა. ლაშა მესხმა ყურადღება გაამახვილა მის მიერ განხორციელებულ საკვირაო სკოლებზე ხაშურის მუნიციპალიტეტში და პროექტის მნიშვნელობაზეც ისაუბრა.

ხაშურის პირველი ახალგაზრდული ფორუმი არაფორმალური დისკუსიის რეჟიმით დასრულდა და ორგანიზატორებმა ფორუმის ყოველწლიურად ჩატარების პირობა დადეს.

---თურმანიძეთა მკურნალი შტო ხაშურში --

ქეთევან ახალკაცი: საგვარეულო მალამო ისე არ მზადდება, თუ თურმანიძის ხელი არ ურევია

თურმანიძეების გვარი ქართულ ცნობიერებაში უკვე მრავალი საუკუნეა ასოცირებულია განუმეორებელ მალამოსთან და სასწაულებრივ განკურნებასთან. ისტორიულ წყაროებში XI საუკუნიდან ჩნდება. თურმანიძეები საუკუნეების განმავლობაში სამეფო კარის მკურნალები იყვნენ, ფეხში დაჭრილი ალექსანდრე ჭავჭავაძე, თურმანიძეთა მალამომ განკურნა, ხოლო იტალიის ეროვნულ–განმანთავისუფლებელი მოძრაობის ბელადი ჯუზეპე გარიბალდი ფეხის ამპუტაციისგან იხსნა. ისტორიული დოკუმენტების გარდა, გვარის კეთილშობილური საქმიანობა მხატვრულ ლიტერატურაშიც აისახა. აკაკი წერეთელი თავის პოემაში "კიკოლას ნაამბობი", წერდა:

"იმერეული ვარ ნამდვილი, იმერეთს დაბადებული,
გვარადაც თურმანიძე ვარ, ჯანიოზობით ცნობილი,
თვით უკვდავების წყაროში მოზელილი მაქვს მალამო,
მაგრამ ამ საიდუმლობას დიდი სითბრთხილით ვმალავო,
ანდერძი საგვარეულო გვიწერს, რომ უნდა დავფაროთ
და მოსწავლეადაც სხვა გვარის ვერავინ ვერ დავიბაროთ."

თურმანიძეების გვარის შტოს ის წარმომადგენლები, რომლებიც ამ სასწაულმოქმედი მალამოს დამზადების ტრადიციას საიდუმლოდ ინახავენ, ათეულობით წლების წინ იმერეთიდან ხაშურში გადმოსულან საცხოვრებლად და აქ გაუგრძელებით თავიანთი მადლიანი საქმე. ტრადიციის გაგრძელებასაც თავისი ტრადიცია აქვს, თურმანიძეების მალამოს დამზადების ხელოვნება იმ რძალზე გადადის, რომელსაც ვაჟი ჰყავს და გვარის გამგრძელებლად ითვლება. მალამოს შექმნაზე, მის მკურნალ თვისებებზე, გვარის ისტორიულ მნიშვნელობაზე და სხვა საინტერესო ამბებზე სასაუბროდ, ხაშურელ თურმანიძეებს სახლში ვესტუმრეთ და ოჯახის რძალს, ქალბატონ ქეთევან ახალკაც-თურმანიძეს ვესაუბრეთ:

_როგორ მოხვდა თურმანიძეების გვარი ხაშურში?

–ჩემი მეუღლის წინაპრები წარმოშობით შორაპნის რაიონიდან, სოფელ საღვინედან არიან. ჩვენთან სახლში ინახება რუსეთის მეფე ნიკოლოზ II-ის ბრძანება, რომელმაც თურმანიძეებს უბოძა ზინდისი თავისი ყმებით, ამ დროს დამკვიდრდნენ ხაშურში. თურმანიძეები ძალიან ბევრნი არიან საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მაგრამ თურმანიძეების ეს შტოა მკურნალი მალამოს შემქმნელი. მაქსიმეს ყავდა ორი ვაჟი, მალაქია და ლადო, რომლებიც წამოსულან და ხაშურში დასახლებულან. ხაშურში არის თურმანიძეების ქუჩა, სადაც მდებარეობს ჩვენი ოჯახის ძველი სახლი, ხაშურელი თურმანიძეების ფუძე, სადაც თურმანიძეების საგვარეულო ხატი 4 საუკუნისაა და ვინც ფუძეზე რჩება, იმასთან არის ხატი დაბრძანებული. ჩემი მამამთილი, ლადო თურმანიძის შვილია და მისი ძმა, ის მალაქია თურმანიძეა, რომელმაც ჯუზეპე გარიბალდი ფეხის ამპუტაციისაგან იხსნა. ჩემი მამამთილი, ირაკლი თურმანიძე, სპეციალობით ექიმი იყო, ხაშურში, სანეპიდსადგურში მუშაობდა, სახლში იღებდა პაციენტებს და, პარალელურად, ამზადებდა მალამოებს. მალამოების დამზადების ტრადიცია მემკვიდრეობით ბიჭებზე გადადის, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ არ დაიკარგოს და ოჯახში დარჩეს მალამოს შექმნის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია.

ირაკლი (ბიჭიკო) თურმანიძე

_თურმანიძეების რძლობა ვცოდნასცურად ნიშნავს, რომ გაძგრძელებული ხარ მაღალმოს დამზადების საგვარეულო ცრადიციის?

–საერთოდ, წესი ასეა, ასწავლიან იმ რძალს, რომელსაც ვაჟი ჰყავს. პროფესიით მათემატიკოსი ვარ, პარალელურად მედდის კურსებიც დავამთავრე. დიპლომი რომ ჩამოვიტანე, ჩემმა მამამთილმა, როგორც იქნა ვეღირსე გველი რომ ახატია, ისეთ დიპლომსო და 100 მანეთი მაჩუქა. ძალიან მაინტერესებს მედიცინა, ჩემი საქმიანობის პარალელურად ბევრი რამე ვისწავლე და თანამედროვე საშუალებები დავუმატე. ოჯახის ამ ტრადიციის გაგრძელება მაინც სურვილზეა დამოკიდებული.

_მაღალმოს დამზადების ტექნოლოგიაზე გვესაუბრეთ...

–ყველაფერი არის ეკოლოგიურად სუფთა, რაც ბუნებასთანაა კავშირში, ანტიალერგიულია, გამოიყენება ლაქტაციის პერიოდში და ორსულობის დროს. უებარია დამწვრობის დროს, გამონაყარის დროს, ბუასილისთვის, გარეგანი პრობლემებისთვის, ასაკობრივი გამონაყარის შემთხვევაში. ჩემი შვილი ავტოკატასტროფაში მოყვა, ძალიან დიდი ჭრილობები ჰქონდა, რეამინაციაში შევაგზავნეთ ჩვენი მალამო და ნაიარევი აღარც ეტყობა. მე, მაგალითად ძალიან ბევრი ადამიანი გადავარჩინე ფეხის ამპუტაციას, დაინვალიდებას, მქონდა ასეთი შემთხვევაც, პოლიციელს ნატყვიარი არ უხორცდებოდა, მთელი წელი წვალობდა, ჩემთან მოვიდა ქალბატონი დასავლეთიდან, რომელმაც მითხრა, რომ ნახა სიზმარში, ხიდგადაღმა რომ თურმანიძეებია, იმათთან უნდა მიხვიდეო და ამ მალამომ

(გაგრძელება V გვერდზე)

ფრიად საინტერესო ნაშრომი

საბჭოური წესწყობილების არსებობის პირველ ხანებში დიდი ყურადღება ექცეოდა მხარეთმცოდნეობის, როგორც ცოდნის დარგის განვითარებას. სამაგიეროდ იგნორირებული იყო ისტორიის სასკოლო სწავლება. ამ ნაკლოვანების ადმოფხვრას ისახავდა მიზნად 1930-იანი წლების შუა პერიოდში შესაბამისი უმაღლესი სახელისუფლებო ორგანოების მიერ მიღებული ღონისძიებანი. მოხდა ისე, რომ აქედან მოკიდებული ჩრდილში მოექცა მხარეთმცოდნეობა. სკოლის მოსწავლეებს გვასწავლიდნენ მსოფლიოს, საბჭოთა კავშირის (ფაქტობრივად რუსეთის) და საქართველოს ზოგად ისტორიას, მაგრამ არ გვასწავლიდნენ მშობლიური კუთხის -დაბის, ქალაქის და ა.შ. წარსულს. სიმართლე, რომ ითქვას, პედაგოგებს არ გააჩნდათ საამისო განათლება, რომ ეს ესწავლებინათ (არაოფიციალურად).

მისასალმებელია,რომ განსაკუთრებით 1990-იანი წლების შემდგომ,მხარეთმცოდნეობა კვლავ აღორძინდა. შესაბამისად, გაჩნდა სათანადო ნაშრომები. კარგია, რომ ამ თვალსაზრისით საკმაო წარმატებებია მოპოვებული ხაშურის რაიონის მასშტაბით, რაშიც დიდია, კერძოდ, ადგილობრივი ისტორიკოსის თამაზ ლაცაბიძის დამსახურება.

ამჯერად შევჩერდებით დასახელებული პირის წიგნზე „ხაშურის რაიონის ისტორია ტოპონიმებში“, რომელიც 2010 წელს გამოქვეყნდა. გამოცემის ადგილი გახლავთ ხაშური, რის აღნიშვნაც ძალზედ სასიამოვნოა. უპირველესად, ყოველგვარი გაზვიადების გარეშე, უნდა ითქვას (ამ შემთხვევაში დაიწეროს), რომ სარეცენზიო ნაშრომი დიდი რუდუნების შედეგია. როგორც ავტორი მიუთითებს, იგი მთელი ათი წლის განმავლობაში იწერებოდა. ამაში დაეჭვება კი შეუძლებელია, ეცნობი რა შესაბამის საისტორიო წყაროებს, ლიტერატურას (ისტორიოგრაფიას),მათ შორის თვითონ ავტორის მიერ მანამდე გამოქვეყნებულ ნაშრომებს. ზემოაღნიშნულს უნდა დაემატოს ის გარემოებაც,რომ აშკარაა,ავტორს საკუთარი ფეხით აქვს დავლილი ხაშურის რაიონის სოფლები და ნასოფლარები (სულ 130 დასახელებისა). იგრძნობა დიდი სიყვარული მშობლიური ადგილებისადმი, რაც შესაბამისი საისტორიო ნაშრომის შექმნისას ერთ-ერთ აუცილებელ მომენტს წარმოადგენს.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ თამაზ ლაცაბიძის მიერ მომზადებულია ხაშურის რაიონის ტოპონიმიკური ლექსიკონი, რომელშიც 5000-მდე ტოპონიმია შესული (იხ. წიგნის მეხუთე გვერდი). ძალზე დასანანია, რომ ეს კრებული დღემდე გამოუცემელია.

თუ რა გააკეთა კონკრეტულად ავტორმა აღნიშნულ წიგნში, ამის დაწვრილებითი ჩამონათვალი შორს წაგვიყვანდა. სამაგალითოდ გამოვყოფთ მისეულ დაკვირვებას სოფელ სათივის სახელწოდებაზე. ამ შემთხვევაში თითქოს უნდა იგულისხმებოდეს უშუალოდ მოცემული შინაარსი, რაც ამ ტოპონიმში თითქოს თავისთავად იგულისხმება. მაგრამ უფრო სერიოზული ჩაფიქრებისას ამგვარი წარმოდგენა უსაფუძვლო ხდება. ნამდვილად საფუძვლიანი კი არის ავტორისეული თვალსაზრისი: „სოფლის სახელწოდება ტივიდან უნდა მომდინარეობდეს მას უწინ სატივე უნდა რქმეოდა. ეს ვარაუდი დასტურდება ხალხში გავრცელებული გადმოცემითაც. ბორჯომის ხეობისა და ხაშურის რაიონის მოსახლეობის ერთი ნაწილი ჩვენს დრომდე მეტივეობას მისდევდა და ამისთვის მდ. მტკვარი გამოიყენებოდა. როგორც ჩანს, დღევანდელ სათივესთან იკვრებოდა ტივები და ადგილსაც სატივე შეერქვა. შემდგომ ხანებში სახელწოდებამ განიცადა ტრანსფორმაცია და სატივიდან მივიღეთ სათივე“ (გვ.87).

მტკვარზე სატივეები (ტივის შესაკრავი ადგილები) იყო ქვაბისხევთან, დვირთან, ჭობისხევთან, ლიკანთან, ყვიბისთან, რველთან, ზანავთან, და ა.შ. (იხ. გურამ გასიტაშვილი, „სატივეზე ტივი შევკარ“, თბ. 2004, გვ.9.) საერთოდ, ამ მიზნით, ირჩევდნენ მდინარის მდორე და წყნარი დინების ადგილებს.

სამწუხაროდ, აგდილობრივ (სათიველ) მცხოვრებთა შორის სათანადო საისტორიო მეხსიერება, ხსოვნა ძალზე სუსტია, უმეტეს შემთხვევაში იგი არ არსებობს, ასე რომ, ამჯერად, მთავარია მკვლევარის ალღო, ინტუიცია. მართლაც, ილიასეული გაზეთ „ივერიის“ 1888 წლის (თუ არ ვცდები) ერთ-ერთი ნომრის გაცნობა ამ მხრივ აღნიშნული მოსაზრებას აბსოლუტურად უეჭველს ხდის. გულუბრყვილო, ხალხური ეტიმოლოგიისაგან განსხვავებით სარეცენზიო წიგნში ვკითხულობთ: „ჩვენი აზრით, ოსიაურის თავდაპირველი სახელწოდება ოსიაურია (შესაძლებელია ოსეურიც). იგი ნაწარმოებია - ურ სუფიქსით, ძირია ოსია (ან-ოსეა), რაც ადამიანის სახელია. ამდენად, სახელწოდება -ოსიაური (ოსეური) ანთროპონიმური წარმოშობისა უნდა იყოს. ამ მოსაზრებას განამტკიცებს ის ფაქტიც, რომ ქართულ ანთროპონიმიკაში დასტურდება ადამიანის სახელები – ოსია და ოსეა. ეს სახელები გვხვდება ძველ ქართულ დოკუმენტებშიც“ (გვ.80). თუმცა დავსძენთ, რომ ესენი ებრაული წარმოშობისა გახლავან.

ასევე დამაჯერებელია ავტორისეული დაკვირვებანი ტეზერის თაობაზე (გვ.106), ტოპონიმ ბედლეთ // ბედლითის არა შესაბამის სამეურნეო დანიშნულების შენობებთან, არამედ შეშის ან ყავრის საპალნე გროვებად დამზადება (გვ.32) (როგორც ვხედავთ, ავტორი იზიარებს ტოპონიმისტ გურამ ბედოშვილის მოსაზრებას).

მაგრამ ამჯერად უფრო მეტად შენიშვნებზე გავამახვილებთ ყურადღებას, თუნდაც იმიტომ, რომ ფრიად უპრიანად გვეჩვენება წიგნის ხელმეორედ დაბეჭდვა, რისთვისაც მსგავსი შენიშვნების გათვალისწინება მას უთუოდ კარგად წაადგებოდა. კერძოდ, ხაშურის რაიონის მასშტაბითაც მშვენივრად ჩანს გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის ნიკო ბერძენიშვილის მიერ შემჩნეული ისტორიულ- გეოგრაფიული კანონზომიერება, რომლის მიხედვითაც ცალკეული ცენტრების დაწინაურება განაპირობებული იყო სათანადო ტექნიკურ-ეკონომიკური განვითარებით. თუ ერთ დროს დაწინაურდნენ, ქალაქად ჩამოყალიბდნენ სურამი და ალი, XIX საუკუნის 70-იანი წლების შემდეგ ცენტრად იქცა ხაშური, ნაწილობრივ (სარკინიგზო ტრანსპორტის მეოხებით), წამყვანი მდგომარეობა შეინარჩუნა სურამმა, შედარებით დაწინაურდა გომი.

ავტორი ცდილობს, კერძოდ, ტოპონიმების კვალდაკვალ თვალი გაადევნოს მიგრაციებს (იმერეთიდან და სამხრეთ საქართველოდან) რაიონის მაშტაბით. მაგრამ, ჩვენი მყარი შეხედულებით, უფრო შორს, საუკუნეთა სიღრმეში, შეიძლებოდა წასვლა. იგი იზიარებს ტოპონიმისტ გიგი ხარნაულის თვალსაზრისს „დუმაცხოს“ ზანურ წარმომავლობაზე (ასევე ფიქრობდა დიდი ქართველი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი). აქედან გამომდინარე, გურამ ბედოშვილს შესაბამისი მიგრაცია მთიულეთიდან წარმოედგინა. გამეორებულია „დამჩხეულაში“ ძირის-ჩხერ ზანური წარმომავლობაც (იმავე მკვლევარის ვარაუდი). საერთოდ, შემჩნეულია, სახელდობრ შიდა ქართლში, ხაშურის რაიონის არეალში, კოლხური (ზანური) არქეოლოგიური კულტურის არსებობა. შესაბამისად, ვხედავთ აქ ზანური ენის (მეგრულისა და ჭანურის წინარეენის) ნაკვალევსაც. (ამის შესახებ უფრო ვრცლად იხილეთ ჩვენი მონოგრაფია „ქართველთა ეთნოგენეზისის საკითხი“, თბილისი, 2014 წ). დავუმატებდით ტოპონიმ „ზინდისის“ შესაბამის ახსნა-განმარტებასაც - ზინდი, შავი დაჭაობებული მიწა, ზინდიკარი - ადგილი სადაც ჭაობები იწყება (იხ. ალიო ქობალიას „მეგრული ლექსიკონი“,თბ.2010.გვ.309); აგრეთვე -ბუღაურისას (უხედნელი კურატი) (იქვე, გვ.70). შესაძლებელია „ლიხიც ზანიზმი იყოს (ამ ენაშიც მაღალ შამბნარს ნიშნავს). ვფიქრობთ, რომ ტოპონიმი (იოკონიმი) აზარმა (გვ16) უნდა დაზუსტებულ იქნეს „აზარმეთით“, რაც თავის მხრივ აზავრეთიდან უნდა მოდიოდეს (აზავერი-„ხარი საკიდარი) (საბა).

ბულბულისციხის სახელწოდების თაობაზე გვიჩნდება შემდეგი შეკითხვა. როგორ მოხდა, რომ ამ სოფლის ძველი სახელწოდება „ციხისძირი“ შეიცვალა „ბულბულისციხით“ (მეცხრამეტე საუკენეში). თუ უკანასკნელი სახის სახელწოდება XVI საუკუნეში მოხსენიებულ აზნაურ ბუნბულისძეთა ცნობილ გვარს უკავშირდება (გვ.39), მაშინ საკითხავია თუ მანამდე, მე-19 საუკუნემდე, სოფელი არ იწოდებოდა ამ გვარ-სახელის მიხედვით და იწოდა XIX საუკენეში? ისე, გვიჩნდება კითხვა, თუ რატომაა ეს სოფელი „უძველესი დასახლებული ადგილი ხაშურის რაიონში“ (გვ.38).

წიგნში საუბარი მიდის სოფელ თხილნარაზე(გვ.57-58), მაგრამ სხვაგან, სადაც საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ - ტერიტორიული დაყოფაა გადმოცემული, ვხვდებით „დიდ თხინალას“, „პატარა თხინალას“, რაც აშკარად ზანიზმია (ზანური ენის კუთვნილება): თხინა-თხილი. სხვათა შორის წიგნის, მე-14 გვერდზე თანდართულ რაიონის რუკაზე სწორედ „პატარა თხინალა“ ფიგურირებს.

ავტორის სწორი მოსაზრებით, „ტაშისკარი რაიონის ერთ-ერთი უძველესი სოფელია“ (გვ102) და მისი თავდაპირველი მოხსენიება დაკავშირებულია ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართუელთა მეფეთა“-სთან (დაიწერა XI საუკუნეში). მაგრამ ამ სოფლის ხსენება რომ უკვე ფარნავაზის ხანას უკავშირდება? შესაბამისად, აქედან ვგებულობთ, რომ ოძრხის ერისთავის სამფლობელო გახლდათ ტასისკრიდან არსიანამდე. მეორეგან ვკითხულობთ: „ხოლო ერთი დაადგინა სპასპეტად და მისცა ტფილისითგან და არაგვიდან ვიდრე ტაშისკრამდე და ფანვარამდე, რომელ არს შიდა ქართლი“ (იხ. „ქართლის ცხოვრება“, ტ.I, თბ. 1955, სიმონ ყაუხჩიშვილისეული გამოცემა გვ.24-25). და ბოლოს, ჯუანშერის საისტორიო თხზულებაში „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ აღნიშნულია: „დაიპყრა მირდატ, ძემან ვახტანგისამან, ფარავნითგან და ტასისკარითგან ვიდერე ზღუამდე სპერისა და ერისთავობდა მუნ'' (იქვე, გვ.205).

სარეცენზიო ნაშრომში მოტანილია ამ ტოპონიმის (იოკონიმის) ეტიმოლოგიზაციის მცდელობები. მაგრამ გვერდი აქვს ავლილი იმ გარემოებისათვის, რომ ძველად იგი მოიხსენიებოდა არა „ტაშისკარის“, არამედ „ტასისკარის“ ფორმით, რაც ასახულია კიდეც აქ მდებარე ეკლესიის (ტასურის წმინდა გიორგის) დღემდე შემორჩენილ სახელწოდებაში. ისმის კითხვა: ხომ არ აქვს ამას რაიმე კავშირი სოფ. ბულბულისციხეში მდებარე ტასორის წმინდა გიორგის სახელწოდების ეკლესიასთან?).

ამავე სოფელში არსებული, ეგრეთ წოდებული, ჩიკორის საყდარი (ავტორის თანახმად, იგი XVIII-XIX საუკუნეებს უკავშირდება) უწინ აქ მცხოვრებ აზნაურ ჩიკვაიძეების გვარ - სახელს უნდა უკავშირდებოდეს (სხვათა შორის, ეს შენიშნული ჰქონდა დიმიტრი ყიფიანის უმცროს ვაჟს კოტეს).

თითქოს ისე ჩანს, რომ დღევანდელი ტაშისკრის მცხოვრებნი „გადმოსულები არიან დასავლეთ საქართველოდან, კერძოდ იმერეთიდან“ (გვ.105) მაგრამ მთლად ასე როდია საქმე: რიგი გვარებისა (ბიჭიკაშვილი, გერმანაშვილი, გომარელი, ლომსაძე, მჭედლიშვილი, პაპიაშვილი, ჩარაშვილი, ჯვარიძე) სხვა მხარეებს - ქართლს, სამცხეს, ჯავახეთს მიუთითებენ. აქვე შევნიშნავთ, რომ ტაშისკრის დაშორებულობა რაიონულ ცენტრ ხაშურიდან 10 კილომეტრი არის ნაჩვენები (გვ.102), თითქმის იქვე მდებარე სათივესთან დაკავშირებით კი ფიგურირებს 19კმ. (გვ87). ნასოფლარ სარტყელასთან (მდებარეობდა ხალების სასოფლო საკრებულოს ტერიტორიაზე) მიმართებით სარეცენზიო წიგნში ვკითხულობთ: „გავრცელებული თქმულების მიხედვით, ქართველთა ლაშქარი გიორგი სააკაძის სარდლობით აქ გარს შემორტყმია შემოსეულ ყირიმელ თათრებს. ქართველებს უძლევიათ მტერი. დამარცხებული თათრები სოფელ რბონასთან მისულან და მტკვარის მარჯვენა სანაპიროზე გადასულან... ამ ბრძოლის აღსანიშნავად სოფლისთვის (!) სარტყელა დაურქმევიათ (!) (გვ10). რასაკვირველია, მსგავსი რამ ისტორიულ სინამდვილეს არ ასახავს და ეს ავტორსაც კარგად მოეხსენება. ამდენად, საჭირო იყო სათანადო კომენტარის გაკეთება. რაკი სიტყვამ მოიტანა, იგივეს ვიტყოდით სოფელ წრომის სახელწოდებასთან დაკავშირებულ ხალხურ თქმულება - გადმოცემაზე (გვ142). სოფელ ტიტვინისწყაროს (მდებარეობს წაღვლის სათემო საკრებულოში) დასახელება ნაშრომში ასეა ახსნილი: „ ს.ს ორბელიანის მიხედვით, ტიტვა ნიშნავს „ფრიად დამარილვას (!)“ „დატიტულ,“ „უზომოდ დამარილებულს“ (გვ108). მაგრამ ეს სახლწოდება ხომ უშუალოდ გვარ-სახელ ტიტვინიძეს მიემართება?

107-ე გვერდზე არის მცდელობა სოფელ ტეზრის ძირ-ტეზ-იდან გამოყვანისა, მაგრამ უწინ ხომ ამ სოფლის სახელწოდება „ტეძერი გახლდათ“. არაა მცდელობა ნასახლარ ლომისას დასახელების გასაზრიანებისა (გვ.68) (სხვათა შორის, ამ შემთხვევაშიც წმინდა გიორგის ეკლესიის არსებობასთან გვაქვს საქმე). იგივეს ვიტყოდით ნიკორთის თაობაზე (გვ76). (შესაბამისი ნასოფლარი მდებარეობს ალის საკრებულოში). ამჯერადაც ისევე, როგორც ნიკორწმინდასთან დაკავშირებით, წმინდა ნიკოლოზთან ხომ არ უნდა გვქონდეს საქმე? დასადგენია ისიც,თუ ვის სახელზე იქნა აგებული ეკლესია, რომელიც შემდეგში ყვავის საყდრის სახელით აღინიშნება (იქვე).

სარმანიშვილისკარზე თხრობისას (გვ 88-90) ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე,რომ აქ იგულისხმება სარმანიშვილის ხევი,კარი (დასახლების

(გაგრძელება V გვერდზე)

ფერიად ნაშრომი სასარგებლო

(დასასრული)

აზრით), ასე, რომ იგი არ არის სინონიმი ტასისკარ //ტაშისკრისა. შეგახსენებთ, რომ ჩვენი დიდებული ისტორიკოსი და გეოგრაფიის ვახუშტი ბაგრატიონი სწორედ ტაშისკართან და არა სარმანიშვილისკართან დაკავშირებით, მიმართებით გვაუწყებს: „აქ მოვიწროებულსა შინა არს განსავალი კარი და კოშკი მას ზედა, ქართლიდამ ხეობასა (ბორჯომის -გ.ყ.) შინა სავალი. და ამის მიერ ეწოდა „ტაშისკარი (ესე არს ქვის კარი) (იხ ქართლის ცხოვრება ტ IV , 1973, გვ.380)

ტოპონიმი (იოკონიმი) „სურამი“ არ უნდა იყოს დაკავშირებული ანტიკურ საისტორიო წყაროებში ნახსენებ „სურიუმს”(გვ.97) (გამეორებულია პროფესორ ნოდარ ლომოურის მოსაზრება), მაგრამ ამის შესახებ სხვა დროს, სპეციალურ ნაშრომში მოგახსენებთ.

სწორი გახლავთ მკვლევრის თვალსაზრისი სოფელ სატივის სახელწოდების ტივთან, მეტივეობასთან დაკავშირებისა. რაკი სიტყვამ მოიტანა, კარგი იქნებოდა მითითებული ყოფილიყო გეოგრაფოს, პროფესორ შოთა ცხოვრებაშვილის (შევნიშნავთ, რომ წარმომავლობით იგი ხაშურთანაა დაკავშირებული) სათანადო, სპეციალური ხასიათის ნაშრომი.

ტოპონიმ (ოიკონიმ) ქაშვეთზე თხრობისას ვკითხულობთ: „სახელწოდება ნაწარმოებია -ეთ სუფიქსით, ფუძეა-„ქაშვ“, ხოლო-ი სახელობითი ბრუნვის ნიშანია - ეთ სადაურობის სახელთა სუფიქსია“ (გვ.115), რომ მსგავსი სახელწოდების სახელია სვანეთშიც (მესტიის რაიონში), მაგრამ ტოპონიმი (იოკონიმი) ქაშვეთი ხომ მთლად გამჭვირვალეა და იგი თბილისში მდებარე ეკლესიასთან სიახლოვეს უნდა მიგვანიშნებდეს. უპრიანია, დავსძინოთ, რომ აღნიშნულ სოფელში არსებული ეკლესია თბილისის დარად, წმინდა გიორგის სახელს ატარებს.

ხაშურმა ქალაქის სტატუსი მიიღო არა 1917 წელს (გვ.148), არამედ 1921 წელს.

ყოფილ სოფელ შინდარაში (ამჟამად იგი ქალაქ ხაშურის ფარგლებშია) არსებული წმინდა გიორგის ეკლესიის თაობაზე ვკითხულობთ, რომ მას ბერძნების ეკლესიასაც ეძახდნენ (გვ126). კარგი იქნებოდა, ავტორი შეცდილიყო, აეხსნა ეს საკითხი.

„წეროვანსა“ და „წერონისში“ ძირი გახლავთ არა - წერ, არამედ წერო („ფრინველის სახელწოდება“) (გვ.143), (მაგრამ ეს შენიშვნა უპირველესად ეხება ენათმეცნიერ გურამ ბედოშვილს).

სარეცენზიო ნაშრომის მიმართ გვაქვს შედარებით უმნიშვნელო ხასიათის შენიშვნებიც.

ენობრივად კარგად გამართულ წიგნში ყურს ეხამუშება სიტყვა „ხელთქონება“ (გვ.38). იგივეს ვიტყოდით მოსე ჯანაშვილთან მიმართებაში „პროფესორის“ ხმარებაზე (გვ.103). ხანდაკი არ არის სპარსულიდან მომდინარე სიტყვა (გვ.24), არამედ- არაბიზმი, ყარაღაჯი კი- თურქიზმია და არა სპარსიზმი (იქვე), ყარაფილა კი ქართულია (იქვე). ალთან, ულუმბასთან და ხაშურთან კავშირში რატომ უნდა გამოიყენებოდეს ტერმინი რეგიონი (გვ5).? ბუნდოვანია „არაგვისპირის“ რაობა (გვ.29). 96-ე გვერდზე ჩამოთვლილ ქართულ ტოპონიმთა შორის „ბეთლემის” მოხსენიება უადგილო გახლავთ, რამეთუ იგი ბიბლიური (ებრაული) წარმოშობისაა, არაზუსტი ფორმით არის ნახსენები ჰიდრონიმი „შავი წყალი“ შავწყალას ნაცვლად (გვ.39), თანაც იგი ბორჯომულას ერთ-ერთი შენაკადი კი არ არის (იქვე), არამედ-მისი ძველი სახელწოდება. უხერხულია, გამოიყენებოდეს „მოსახლე სოფელი“ დასახელებულ სოფლის ნაცვლად.

გამოყენებული ლიტერატურის სიაში რატომღაც ვერ ვხედავთ ქვიშხეთელი მხარეთმცოდნეების კლიმენტი სუთიაშვილისა და გივი გელაშვილის 2009 წელს დაბეჭდილ ნაშრომს ქვიშხეთის შესახებ. ასევე ჩამონათვალში პლატონ იოსელიანის წიგნი ძველქართულ ქალაქებზე და გიორგი ჩუბინაშვილის ნაშრომი წრომის ტაძარზე ქართულად არის ნაჩვენები (რუსულის ნაცვლად).

ყველა ზემოაღნიშნული შენიშვნა, ცხადია, ვერ ცვლის ჩემეულ იმ მყარ წარმოდგენას, რომ ამაგდარი მკვლევარის განხილული წიგნი, დაწერილი ნამდვილად პროფესიონალურ დონეზე, მეტად სასარგებლოა. საკუთრივ ტოპონიმიის (მიკრო-ტოპონიმების) გარდა იგი ფართო შინაარსს შეიცავს. ამდენად, იგი სერიოზული სტიმული უნდა გახდეს სხვათაგან მიბაძვისათვის. გამოვთქვამთ სურვილს, რომ თამაზ ლაცაბიძის წიგნი „ხაშურის რაიონის ისტორია ტოპონიმებში“ ხელმეორედაც დაისტამბოს.

გურამ ყორანაშვილი - პროფესორი.

ქეთევან ახალკაცი: საგვარეულო მალამო ისე არ მზადდება, თუ თურმანიძის ხელი არ ურევია

(დასასრული)

გადაარჩინა, მერე თვითონ მოვიდა ეს პოლიციელი მადლობის სათქმელად. ძალიან ბევრი ადამიანი მოდის, რომლებსაც
არ უხორცდებათ ჭრილობები ან ნაკერები.

_სხვა რა ეფექტი აქვს მაღამოს?

–კარგი საშუალებაა ჭრილობების, ჩირქოვანი გამონაყარის, გამაგრებული ნანემსრის, ძირმაგარების, დამწვრობის სხვადასხვა ფორმების, ბუასილის სამკურნალოდ.

_უკუჩვენებები თუ ახასიათებს?

–უკუჩვენებები თითქმის არ ახასიათებს, მეტსაც გეტყვით, მე მყავს პაციენტი ქალბატონი, რომელსაც მასტოპატია ჰქონდა და უკვე მეშვიდე წელია ჯანმთელი აგრძელებს ცხოვრებას და პერიოდულად მიაქვს მალამო პროფილაქტიკისთვის.

_კოსმეტიკური დანიშნულებით თუ შეგვიძლია მაღამოს მოხმარება?

–მე არასდროს გამომიყენებია ჩემთვის, თუმცა ერთმა მომხმარებელმა მითხრა, რომ ძალიან კარგი ეფექტი აქვს და აკნეების და გამონაყარის წინააღმდეგ უებარი საშუალებაა

_თქვენი დამზადებული მაღამო თუ განსხვავდება შემადგენლობით იმ მაღამოსგან, რომელიც თურმახიძის მაღამოს სამკურნალო ნიშნით იყიდება ათთიაქში?

–ჩვენი მალამო ნამდვილად განსხვავდება აფთიაქში გაყიდული მალამოსაგან, ის უფრო დაბალი კონცენტრაციისაა. რადგან ჩვენ პაციენტს ინდივიდუალურად ვურჩევთ მისი ავადობის შესაბამის მალამოს, ვაფასებ დაავადების ხარისხს, წამლების შერევის კონცენტრაციაც შესაბამისად განისაზღვრება მალამოში. დანამატებია სხვადასხვა. ამას წინ, მალამო მთხოვეს ბავშვისთვის,არ მივეცი,სანამ არ ვნახე დამწვრობის ხარისხი. ძალიან ბევრი ამზადებს დამწვრობის მალამოს, სადაც ურევენ პენიცილინს, თუ ადამიანს ალერგიული რეაქციები აქვს,მისთვის არ შეიძლება მსგავსი ტიპის ანტიბიოტიკის მიღება. ალზე დამწვარს- ხვანაირად ვმკურნალობთ,წყლით და ცეცხლზე დამწვარს სხვანაირად. აუცილებელია ხმარების წესების ზუსტად დაცვა.

_როგორ გიკავშირდებიან მაღამოს შესაძენად და რამდენად ხელმისაწვდომია მოსახლეობისთვის მისი შეძენა?

–ძირითადად, ერთმანეთს უზიარებენ კმაყოფილებას მომხმარებლები და აძლევენ კოორდინატებს, ზოგი ტელეფონის საშუალებით მიკავშირდება. საკმაოდ ხელმისაწვდომია ყველა კატეგორიის ადამიანისათვის. დამოკიდებულია კურსის ხანგრძლივობაზეც. გვიკავშირდებიან ხოლმე სხვა ქვეყნებიდან და გვაძლევენ შეკვეთებს, რუსეთიდანაც გვქონდა საკმაოდ დიდი შეკვეთა, ფეხს აჭრიდნენ პაციენტს, მალამოს გამოყენების შემდეგ, მას ფეხი შეუნარჩუნდა. ვესაუბრე ქირურგს, რომელმაც მთხოვა მესწავლებინა მალამოს დამზადების ტექნოლოგია, ხუმრობით ვუპასუხე, რომ ეს გვარის საიდუმლოა, რომელსაც შვილებსაც არ ვასწავლით-თქო. ძალიან ხშირად ვაგზავნით საბერძნეთში, თურქეთში, საფრანგეთში, ესპანეთში და ისრაელშიც, რათქმაუნდა, ფასები განსხვავებულია.

_თქვენ მეუღლეს ორი ძმა ჰყავს, ისინიც ამზადებენ მაღამოს?

–ჩემი მეუღლის ძმებიც ამზადებენ მალამოს. პირადი გამოცდილებიდან შევცვალეთ შემადგენლობა, ჩვენი ხელწერა შევიტანეთ და შედეგიც შესაბამისი გვაქს. თუმცა, რეცეპტი, რომელიც მამათილისგან დაგვრჩა, თითქმის იდენტურია, სხვაობა დამზადების ტექნოლოგია და მასალის ხარისხშია. მე ვთვლი, რომ თურმანიძეების მალამო ყველა ოჯახში უნდა იყოს.

_თქვენ შვიდებს თუ აქვთ ცრადიციის გაგრძელების სურვილი?

–სამი გოგო და ერთი ბიჭი მყავს, რომლებსაც თავისი ოჯახები და საქმე აქვთ, არც ერთმა არ აირჩია ექიმის პროფესია, ჯერ ჩვენ ვართ ამ საქმით დაკავებული, თუმცა არ ვაპირებთ ამ ტრადიციის დაკარგვას, რომელსაც მომავალში ჩვენი შვილი გააგრძელებს.

თ. ჯავახიშვილი

საჯარო მოხელეებს საჯარო სამსახურის შესახებ განსახორციელებელ ცვლილებებს აცნობენ

24 ნოემბერს, ხაშურის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებისთვის სამუშაო შეხვედრა ჩაატარა „კონსულტაციებისა და ტრენინგების ცენტრის“ ტრენერ-კონსულტანტმა ნათია ზედგინიძემ.

შეხვედრის მიზანი „საჯარო სამსახურის შესახებ კანონში“ 2017 წლისათვის დაგეგმილი ცვლილებების გაცნობა იყო. აღნიშნული კანონპროექტის მიხედვით, საჯარო სამსახურში საჯარო მოხელეთა მუშაობის შეფასების სისტემა დაინერგება.

შეხვედრა ვ. ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის ინიცირებით გაიმართა.

შეხვედრა საყვარელ მწერალთან

20 ნემბერს, ხაშურს, IX საჯარო სკოლის დირექტორის, მამუკა ხაჩიძის მოწვევით, თანამედროვეობის ერთ-ერთი თვითმყოფადი მწერალი, დათო ტურაშვილი ესტუმრა. შეხვედრა საკმაოდ პროდუქტიული აღმოჩნდა. მწერალმა ისაუბრა საკუთარ წიგნებზე და მოსწავლეებსაც მიეცათ შესაძლებლობა კითხვებზე საყვარელი ავტორისაგან პირადად მიეღოთ პასუხები. IX საჯარო სკოლის მოსწავლეების გარდა შეხვედრას ესწრებოდნენ III და VI საჯარო სკოლის მოსწავლეებიც. დასასრულს, დათო ტუ-

რაშვილმა საკუთარი წიგნები გადასცა ბავშვებს, სამახსოვრო ფოტოებიც გადაიღო და მადლობა გადაუხადა ასეთი გულთბილი შეხვედრისათვის. ბატონ მამუკას თქმით, სკოლა აპირებს ასეთი ტენდენციის დანერგვას, რომ ყოველ სემესტრში მოიწვიოს ცნობილი ადამიანები, რომლებთანაც შეხვედრა ძალიან საინტერესო იქნება ჩვენი მოსწავლე-ახალგაზრდებისათვის.

შემდგომში ასეთი შეხვედრები საშუალებას მისცემს ჩვენ მოსწავლეებს გაეცნონ ისეთი ადამიანების გამოცდილებას და მსოფლხედვას, როგორიც დათო ტურაშვილია. ქალაქის კულტურულ ცხოვრებასაც განსაკუთრებულ ელფერს შესძენს და,რაც მთავარია,წიგნისაკენ შემოაბრუნებს ახალგაზრდებს.

ნინო საბანაძე, IX საჯარო სკოლის მოსწავლე: დათო ტურაშვილი ჩემი საყვარელი ქართველი მწერალია. ძალიან გამიხარდა, როცა გავიგე, რომ სწორედ ის უნდა გვსტუმრებოდა და განსაკუთრებულადაც მოვემზადე. კითხვაც დავუსვი საყვარელ ავტორს. ნამდვილად კმაყოფილი ვარ ამ შეხვედრით, რადგანც მოლოდინი ნამდვილად გამიმართლა, დათო ტურაშვილი პიროვნებაც არაჩვეულებრივი აღმოჩნდა, როგორიც მწერალია.

ხაშური საცირკო სანახაობამ გაახალისა

25 ნოემბერს, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის ინიციატივით, კონფლიქტისპირა, წაღვლის ტერიტორიულ ორგანოში მცხოვრები ბავშვები საცირკო წარმოდგენას დაასწრო. პატარების ოვაციების თანხლებით მიმდინარეობდა საოცარი ნომრები. ერთმანეთს ენაცვლებოდნენ აკრობატები, ჟონგლიორები, კლოუნი. ბავშვებისა და

მათი მშობლების წინაშე თავს იწონებდნენ მოთვინიერებული ცხოველები. აქვე შეგახსენებთ, რომ გამგეობის მხარდაჭერით, საცირკო წარმოდგენები კვლავ გრძელდება და ელოდება პატარა მაყურებლებს.

"ბანის" დაუვიწყარი კონცერტი

24 ნოემბერს, მუნიციპალიტეტის მოწვევით, ხაშურის საქალაქო კულტურის ცენტრში, ჯგუფ „ბანის" კონცერტი გაიმართა, სადაც ჯგუფის ყველაზე ცნობილი და პოპულარული სიმღერები შეასრულეს. ჯგუფის გამოსვლებს თან მაყურებელთა ოვაცია და ტაში ერთვოდა. სცენაზე, ექსპრომტად, ახალგაზრდა მოცეკვავე გოგო-ბიჭებიც იწონებდნენ თავს ქართული ტრადიციული ცეკვით. დასწრება თავისუფალი იყო.

მათე ფირცხალავა, ჯგუფის სოლისტი: ხაშურს პირველად ვესტუმრეთ. დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ მუნიციპალიტეტის გამგებელს გია გურასპაშვილს და კულტურის განყოფილების უფროსს კოტე ფრუიძეს ჩვენი მოწვევისთვის, რადგანაც საშუალება მოგვეცა ჩვენი შემოქმედება პირადად გაგვეზიარებინა ხაშურის მოსახლეობისათვის.

ბასტი-ბუბუს საჩუქარი ხაშურელ ბავშვებს

ხაშურის მუნიციპალიტეტმა ხაშურელ პატარებს შესანიშნავი საჩუქარი გაუკეთა - საქალაქო კულტურის სახლში (ყოფილი რკინიგზელთა კლუბი) ბასტი-ბუბუს შოუ გაიმართა. პატარებს სტუმრად ეწვივნენ ბაბილინა, ბასტი და ბუბუ, ასევე ბასტი-ბუბუს სტუდიის ბავშვები. კონცერტზე შესრულდა პატარებისთვის კარგად ნაცნობი და საყვარელი მელოდიები. როგორც ბასტი-ბუბუს სტუდიის დირექტორმა თამუნა ახვლედიანმა განაცხადა, მათ ეს მელოდიები სპეციალურად შეარჩიეს, რათა მაყურებელს თავადაც შესძლებოდა კონცერტზე მონაწილეებთან ერთად ემღერა. მან მადლობა გადაუხადა ხაშურის მუნიციპალიტეტს კონცერტის მხარდაჭერისთვის და აღნიშნა რომ მომავალშიც სიამოვნებით ითანამშრომლებს ხაშურთან ადგილობრივი პატარების გასახარად.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe 2015@.gmail.com საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკის" ხაშურის ფილიალი, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, ბანკის კოდი LBRTGE22, ანგარიში GE80LB0115114434590001.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.

D

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe 2015@.gmail.com საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკის“ ხაშურის ფილიალი, საიდენტ-
ფიკაციო კოდი 443860984, ბანკის კოდი LBRTGE22, ანგარიში GE80LB0115114434590001.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.